საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1015-01-2-202305231045

N 01/1015
23/05/2023

საქართველოს მოქალაქე თეკლა ადამიას
foi+request-2566-bfa1bfc9@askgov.ge

ქალბატონო თეკლა,

თქვენი 2023 წლის 8 მაისის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №2116/01; 08.05.2023) პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, სამინისტროში წარმოდგენილი განცხადებების ზოგადი სტატისტიკა შეგიძლიათ იხილოთ სამინისტროს ვებ-გვერდზე - mrdi.gov.ge.

აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივარი სამინისტროში არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, სასამართლო დავა მიმდინარეობდა ერთ შემთხვევაში. აღნიშნული სარჩელი დარჩა განუხილველი, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ფიზიკური და ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის და კონკრეტული თემატიკის შესახებ სტატისტიკას სამინისტრო არ აწარმოებს.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი